სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/03

ქ. თბილისი 11 მარტი 2026

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 4 მარტის №01-06-02/09, 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/32 და 2021 წლის 9 ნოემბრის №01-06-02/45 დადგენილებების გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2026 წლის 26 თებერვლის №0000231410 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 11 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის რექტორის 2025 წლის 14 ნოემბრის №05-04-11/1449 და 2026 წლის 20 თებერვლის №05-04-11/129 ბრძანებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება სამეთვალყურეო საბჭოს სწავლული მდივნის სახელფასო დანამატის გაუქმებასა და განსაზღვრავს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერისა და აკადემიური საბჭოს მდივნის სახელფასო დანამატს, გაუქმდეს სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) შემდეგი დადგენილებები:
   - 2025 წლის 4 მარტის №01-06-02/09;
   - 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/32;
   - 2021 წლის 9 ნოემბრის №01-06-02/45;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**